დინამოელთა მეორე ქულა

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 26 აპრილი.

“სპარტაკი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 2:2 (0:0, 0:0, 2:2).

“სპარტაკი”: პროხოროვი, ბუკიევსკი, ოლშანსკი, ლოვჩევი, ზენკოვი, ლოგოფეტი, კოკორევი, როჟკოვი, ბულგაკოვი (ანდრეევი), პისკარიოვი, რედინი,.

“დინამო”: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია, წერეთელი (რეხვიაშვილი).

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები – 1:0.

სეზონის გახსნის მატჩი დედაქალაქში მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში, ორივე მხარე ენერგიულად იბრძოდა წარმატების მოსაპოვებლად და, თუმცა გოლის გატანის შესაძლებლობა საკმაოდ იყო, ვერც სპარტაკელებმა, ვერც დინამოელებმა ამის გაკეთება ვერ შეძლეს.

დებულების შესაბამისად, დაინიშნა 11-მეტრიანების სერია. ვერც ამან მოუტანა უპირატესობა მეტოქეებს - 2:2. მათ თანაბრად გაიყვეს ქულები.

“ლელო”, 28.04.74